Sagarejo Municipality
Digitally signed by Sagarejo Municipality
DN: cn=Sagarejo Municipality, 2.5.4.97=NTRGE-238154849, o=••••••••••••••••••••, c=GE
Date: 2021.01.25 16:39:10 +04'00'

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N5/2

ქ.საგარეჯო 25 იანვარი 2021 წელი

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება „(შემდგომ „ხელშეკრულება“)“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენმტებით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული.
1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ “შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას („დაწესებულებას „) რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3.“მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
1.4.“ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5.“დღე“,“კვირა“,“თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ, **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია,** მერის გიორგი ერბოწონაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 238154849, მისამართი: ქ.საგარეჯო დავით აღმაშენებლის ქ.№9, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი 300559921 შემდგომში “შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, **შპს „პროფილაქტიკური დეზინფექციის განყოფილება“** დირექტორის ნუნუ ზულიაშვილის სახით (ს/კ 438117226, მისამართი: ქალაქი საგარეჯო, შოთა რუსთაველის ქუჩა, N 30, მომსახურე ბანკი სს „ლიბერთი ბანკი'' ბანკის კოდი: LBRTGE22, ანგარიშის ნომერი: GE73LB0113116039912000 შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი“).

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, საგარეჯოს მუცინიპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო მომსახურებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მავნებებთან - ქვეწარმავლებთან ბრძოლის სფეროში საჭირო მომსახურების შესყიდვა (შემდგომში „მომსახურება“) (CPV კოდი 90921000 - დეზინფექციასა და დეზინსექციასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV კოდი 90923000 - დერატიზაციასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV კოდი 90922000 -მომსახურებები მავნებლებთან ბრძოლის სფეროში.) თანახმად საქართველოს კანონის “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]” ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის “ა“ პუნქტისა.

4. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 4899.92 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 92 თეთრი) ლარს.

#	დასახელება	ჯერადობა	საზომი ერთეული	ერთი თვის/ერთი მომსახურების ფასი	ჯამი	
1	სადეზინფექციო მომსახურება	მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, თვეში ერთხელ.	6 000 (მ2)	175	2100	
2	სადეზინსექციო მომსახურება	მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, თვეში ერთხელ.	6 000 (მ2)	16.66	199.92	
3	სადერატიზაციო მომსახურება	მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, თვეში ერთხელ.	6 000 (მ2)	175	2100	
4	ქვეწარმავლების საწინააღმდეგო	შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დაუყოვნებლივ წელიწადში არაუმეტეს 5 ჯერ	1200 (მ2)	100	500	
					4899.92	

4.3. ანაზღაურება სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო მომსახურებებზე მოხდება ყოველთვიურად, მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე მხარეთა შორის გაფომრებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მავნებლებთან ბრძოლის მომსახურებაზე შემსყიდველის საჭიროებიდან გამომიდნარე გაწეულ მომსახურებაზე მხარეთა შორის გაფომებული მიღება-ჩაბარეის აქტის საფუძველზე.

4.3.წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს/გადასახდელს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. მიმოწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე ინვოისის შესაბამისად;
5.2. მომსახურების გაწევის ადგილია საგარეჯოს მუნიპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, ქ.საგარეჯო, დ.აღმაშენებლის ქN9, ხოლო ქვეწარმავლებთან ბრძოლის მომსახურება გაწეულ უნდა იყოს საჭიროებიან გამომიდნარე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების წესით მომსახურების მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
6.2.ანაზღაურების ადგილი ქ.საგარეჯო
6.3.ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ მომსახურების ღირებულება, რომლის მოცულებებზე არსებობს შემსყიდველის მიერ დადასტურებული აქტი.

7. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

7.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
-ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას, აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
-ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება;
7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
-განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
-საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება ;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია :
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობები;
-დააკმაყოფილოს შემსყიდველის თხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.5.მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არიქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტაციის შესრულებისა და საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს დამკვეთი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური პირობებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული მიწოდებული მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

10.2 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის - 398 -ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას ორივე ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს

11. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

11.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მომსახურები მიწოდების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

11.2 შემსყიდველი ადგილზე ამოწმებს გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

11.3 მომსახურების (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა მოხდება მიმწოდებლის საკუთარი ხარჯებით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1 საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი სრულად აკმაყოფილებს კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან".

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 5 თებერვლამდე.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებელი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო:

ა) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

ბ) ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით.

გ) ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

15.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულებაში მითითებულ 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15.3. ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებიმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
17.4. ხელშეკრულება დგება ორ იურიდიული თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა ხელმოწერა, ბეჭედი

შემსყიდველი:
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია

მერი:

გიორგი ერბოწონაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „პროფილაქტიკური დეზინსექციის განყოფილება“

დირექტორი:

ნუნუ ზულიაშვილი

ინვოისი **N 1-2021/01**

შპს "პროფილაქტიკური დეზინფექციის განყოფილება "
ს.კ. **438117226**
მისამართი: ქ.საგარეჯო ,შოთა რუსთაველის ქ. **N30**
ტელეფონი: **558272010**

სს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი: **LBRTGE22** ა.ა. **GE73LB0113116039912000**

მიმღები: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
ს/კ **238154849**

მისამართი: ქ. საგარეჯო დ.აღმაშენებლის ქ. **N9**

#	დასახელება	ჯერადობა	საზომი ერთეული	ერთი თვის/ერთი მომსახურების ფასი ფასი	ჯამი	
1	სადეზინფექციო მომსახურება	მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, თვეში ერთხელ.	6 000 (მ2)	175	2100	
2	სადეზინსექციო მომსახურება	მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, თვეში ერთხელ.	6 000 (მ2)	16.66	199.92	
3	სადერატიზაციო მომსახურება	მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, თვეში ერთხელ.	6 000 (მ2)	175	2100	
4	ქვეწარმავლების საწინააღმდეგო	შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დაუყოვნებლივ წელიწადში არაუმეტეს 5 ჯერ	1200 (მ2)	100	500	
					4899.92	
	სულ გადასახდელია					

თანხა სიტყვიერად: ოთხი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 92 თეთრი

ნუნუ ზულიაშვილი

პასუხისმგებელი პირი:

თარიღი: 25/01/2021